ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი
№2

ქ. ქუთაისი 22 სექტემბერი 2014 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

ნოდარ მიქიაშვილი – ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე.

კონსტანტინე ქავთარაძე – ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

ირაკლი ავალიანი – ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი.

მალხაზ ბასილაძე – ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის, ტრანსპორტისა და დასუფთავების სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი.

ირაკლი გიორგაძე – ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი: კონკურსის მეშვეობით ქალაქ ქუთაისში იოსელიანის ქუჩის (ყოფილი ფრუნზეს ქუჩა), წერეთლის ქუჩის მე-10 ჩიხის, გ. ტაბიძის ქუჩის მე-4 და მე-6 ჩიხების, თავისუფლების ქუჩის მე-2 ჩიხის, ზერძენაძის ქუჩის პირველი და მე-3 შესახვევების, ზაქარიაძის ქუჩის, ზაქარიაძის ქუჩის მე-2 შესახვევის, ულუბაძის ქუჩის პირველი ჩიხის, ლ. ასათიანის ქუჩის მე-2 და მე-7 ჩიხების გზის ა/ზეტონის საფარით და ღვარსადენი ქსელის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (საკონკურსო წინადადების თანხა 17800 (ჩვიდმეტი ათას რვაასი) ლარი) შედგენასთან დაკავშირებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების განხილვის შესახებ. (საკონკურსო განცხადების №1346. 15.09.2014)

განხილვა: საკონკურსო კომისიის წევრმა ირაკლი ავალიანმა კომისიის წევრებს მოახსენა, რომ აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დალუქული კონვერტი წარმოადგინა 4 (ოთხი) კონკურსანტმა:

1. შ.პ.ს „ზ.ზ.ზ. 2013“ – 11000 (თერთმეტი ათასი) ლარი.
2. ინდ. მეწარმე „ბორის ქირია“ – 5800 (ხუთი ათას რვაასი) ლარი.
3. შ.პ.ს „სასამართლო ექსპერტიზის, არქიტექტურისა და მშენებლობის ეროვნული ცენტრი“ – 7700 (შვიდი ათას შვიდასი) ლარი.
4. შ.პ.ს „სანდო“ – 9980 (ცხრა ათას ცხრაას ოთხმოცი) ლარი.

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით საკონკურსო წინადადების და საკონკურსო ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვის ვადა განისაზღვრა 2014 წლის 22 სექტემბერს 13:30 საათამდე პერიოდით.

განხილვის შედეგად აღმოჩნდა, რომ შ.პ.ს „გ.გ.გ. 2013"-ის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციიდან, ინფორმაცია კონკურსანტის მიერ განხორციელებული ანალოგიური მომსახურების შესახებ, არ შეესაბამება საკონკურსო განცხადების მე-13 მუხლის 13.3 პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნას.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ: ნოდარ მიქიაშვილმა.
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ: კონსტანტინე ქავთარაძემ.
კომისიის წევრებმა: ირაკლი ავალიანმა, მალხაზ ბასილაძემ და ირაკლი გიორგაძემ.

დაადგინეს: შ.პ.ს „გ.გ.გ 2013"-ს მიეცა დისკვალიფიკაცია იმის გამო, რომ მომსახურების ანალოგიური გამოცდილება არ შეესაბამება საკონკურსო განცხადების მე-13 მუხლის 13.3 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

განიხილეს: ინდ. მეწარმე „ბორის ქირია"-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და თანმხლები დოკუმენტები შეესაბამება საკონკურსო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ განცხადების მოთხოვნებს.
შ.პ.ს „სასამართლო ექსპერტიზის, არქიტექტურისა და მშენებლობის ეროვნული ცენტრი"-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და თანმხლები დოკუმენტები შეესაბამება საკონკურსო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ განცხადების მოთხოვნებს.
შ.პ.ს „სანდო"-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და თანმხლები დოკუმენტები შეესაბამება საკონკურსო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ განცხადების მოთხოვნებს.

ამის-შემდეგ განხორციელდა კონკურსანტების შეფასება.
ინდ. მეწარმე „ბორის ქირია"-მ მიიღო - 41,5 ქულა.
შ.პ.ს „სასამართლო ექსპერტიზის, არქიტექტურისა და მშენებლობის ეროვნული ცენტრმა" მიიღო - 36,0 ქულა.
შ.პ.ს „სანდო"-მ მიიღო - 32.2 ქულა.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ: ნოდარ მიქიაშვილმა.
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ: კონსტანტინე ქავთარაძემ.
კომისიის წევრებმა: მალხაზ ბასილაძემ და ირაკლი გიორგაძემ.

დაადგინეს: 1. საკონკურსო კომისიის შეფასებიდან გამომდინარე ქალაქ ქუთაისში იოსელიანის ქუჩის (ყოფილი ფრუწზეს ქუჩა), წერეთლის ქუჩის მე-10 ჩიხის, გ. ტაბიძის ქუჩის მე-4 და მე-6 ჩიხების, თავისუფლების ქუჩის მე-2 ჩიხის, ზერძენამის ქუჩის პირველი და მე-3 შესახვევების, ზაქარიაძის ქუჩის, ზაქარიაძის ქუჩის მე-2 შესახვევის, უუზნაძის ქუჩის პირველი ჩიხის, ლ. ასათიანის ქუჩის მე-2 და მე-7 ჩიხების გზის ა/ზეტონის საფარით და ღვარსადენი ქსელის მოწყობის სპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენასთან დაკავშირებით სახელმწიფო შესყიდვისათვის გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა ინდ. მეწარმე „ბორის ქირია".

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის, ტრანსპორტისა და დასუფთავების (მალხაზ ბასილაძე) სამსახურმა გამოყოს სათანადო უფლებამოსილი პირები და უზრუნველყოს „შემსყიდველსა“ და „მიმოწოდებელს“ შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება–ჩაბარება დადგენილი წესის მიხედვით.

3. საკონკურსო კომისიამ კანონით დადგენილ ვადაში უზრუნველყოს გამარჯვებული ორგანიზაციის მოწვევა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დასადებად.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: ნოდარ მიქიაშვილი

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: კონსტანტინე ქავთარაძე

კომისიის წევრები:

ირაკლი ავალიანი

მალხაზ ბასილაძე

ირაკლი გიორგაძე